ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #1

31 იანვარი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 14.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
თეონა ფახურიძე
ფრიდონ მაჩიტაძე
სიმონ ჭოლოკავა
რუსუდან გეწაძე

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორი: თამილა ფაიქიძე
სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ირინა ტყეშელაშვილი

2. ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, მოსალოდნელი დაავადებათა თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მომხს: ნატო მაჩიტაძე

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორის ინფორმაცია სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებაში 2020 წლისათვის მზადყოფნა, ბაგა-ბაღებისა და შენობა ნაგებობების, სასწავლო -სააღმზრდელო ორგანიზების კუთხით გაწეული მუშაობა და მიმდინარე პროცესები

მომხს: თამილა ფაიქიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მან აღნიშნა, რომ კომისიამ წლის განმავლობაში განიხილა გეგმიური საკითხები, მოისმინა ინფორმაციები და შეაფასა სხვადასხვა სამსახურების წარმოდგენილი ანგარიშები აგრეთვე, აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის,

ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. შეფასდეს დადებითად და საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. შეფასდეს დადებითად და საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 5 **წინააღმდეგი: 0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, მოსალოდნელი დაავადებათა თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორმა ნატო მაჩიტაძემ მიმოიხილა გრიპის ვირუსებთან დაკავშირებით მდგომარეობა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, აღნიშნა, რომ ყოველდღიურად ხდება ინფორმაციის მოპოვება ყველა სოფლის ამბულატორიებიდან სტაციონარში 380 პაციენტი მოხდა 12 კვირის განმავლობაში, გარდაცვალების ფაქტი არ ყოფილა ძირითადად არის ბ ტიპის ვირუსი სკოლებისა და ბაღებისათვის გავეცით რეკომენდაციები

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მომავალი წლისათვის უფრო ადრიანად დაიწყოს და მოხდეს აცრების გაკეთება უფრო მეტად ბაღებისათვის თანხები დავთვალოთ და მომზადებული დავხვდეთ ამ პროცესებს, აგრეთვე ეს საკითხი გასათვალისწინებელია უმწეოებისათვის და სოციალურად დაუცველთათვის

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, მოსალოდნელი დაავადებათა თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორის ინფორმაცია სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებაში 2020 წლისათვის მზადყოფნა, ბაგა-ბაღებისა და შენობა ნაგებობების, სასწავლო - სააღმზრდელო ორგანიზების კუთხით გაწეული მუშაობა და მიმდინარე პროცესები. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორმა: თამილა ფაიქიძემ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვების მდგომარეობა მოწესრიგებულია ხოლო რაც შეეხება დასწრებას ნაკლებია ბავშვთა რაოდენობა რადგან მშობლებს აქვთ შიში ვირუსებთან დაკავშირებით

კომისიის წევრი: სიმონ ჭოლოკავამ განაცხადა, რომ პრობლემურია დღემდე დაბალი ხელფასები ბაგა-ბაღებში იქნებ მიზერულად მაინც გავზარდოთ ხელფასი

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ უნდა მოგვარდეს პრობლემები ბაგა-ბაღის როცა ფუნქციები აკისრიათ თანამშრომლებს და ასრულებენ რამოდენიმე სხვა ფუნქციებსაც უფრო დატვირთული არიან და უნდა ვიბრძოლოთ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა დირექტორის ინფორმაცია სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებაში 2020 წლისათვის მზადყოფნა, ბაგა-ბაღებისა და შენობა ნაგებობების, სასწავლო -

სააღმზრდელო ორგანიზების კუთხით გაწეული მუშაობა და მიმდინარე პროცესები.
მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი